„ნეფთჩი“ (ბაქო) – „დინამო“ (თბილისი) 1:0 (0:0).

ბაქო. რესპუბლიკური სტადიონი. 23 აპრილი.

„ნეფთჩი“: მიხაილოვი, აბუშევი (აჰმედოვი, 46), აბდულაევი, მირზოევი (აზიმოვი, 84), პანჩიკი, სულეიმანოვი, ჰუსეინოვი, გარიბოვი, პონომარიოვი, კასუმოვი, ჯავადოვი.

„დინამო“: გაბელია, გუბაზი (მ. გოგრიჭიანი, 84), თევზაძე, ცვეიბა, არზიანი, ტყებუცავა, სვანაძე, სულაქველიძე, კორღალიძე, გურული, გ. ჯიშკარიანი.

მსაჯი ი. სავჩენკო (მოსკოვი).

გააფრთხილეს ცვეიბა.

დუბლიორები - 0:0.

წლევანდელი საკავშირო ჩემპიონატი თბილისის „დინამომ“ კარგად დაიწყო. 2 ტურის შემდეგ 4 ქულით გათამაშების ლიდერობა მოიპოვა. მერე, ზუსტად იმდენივე ტურის შემდეგ მე-8 ადგილზე დაეშვა. მომდევნო 2 ტურში 2 ქულა აიღო და გუშინდელი მატჩისთვის ცხრილის შუაგულს შემორჩა _ იგი მეათე ადგილზე იმყოფებოდა.

ბაქოელები კი 23 აპრილისთვის მყარად იჯდნენ უმაღლესი ლიგის სატურნირო ცხრილის ბოლო, მე-16 ადგილზე.

შესაძლოა, თბილისისა და ბაქოს გუნდების შეხვედრები ოქროს ასოებით არ იწერება საბჭოთა ფეხბურთის ისტორიაში, მაგრამ თითოეული მატჩის შედეგს დიდი მნიშვნელობა აქვს ორივე გუნდისთვის, მით უფრო ახლა, როცა მდგომარეობა ესოდენ დაძაბული და კრიტიკულია. რაიმე შეღავათზე ფიქრიც წარმოუდგენელი იყო.

ბრძოლა, შესაძლოა, მართლაც შეუპოვარი იყო, მაგრამ ეს შეუპოვრობა და გამარჯვებისადმი სწრაფვა ბაქოელმა ფეხბურთელებმა გაცილებით მეტი გამოავლინეს, ვიდრე თბილისელებმა. ისიც შეგვიძლია ვთქვათ, რომ თამაშის კლასით და ოსტატობით ისინი დიდად ვერ გამოირჩეოდნენ. მატჩის სანახაობრივი და სპორტული მხარე ერთობ მდარე იყო და, სამწუხაროა, რომ ასეთ ვითარებაშიც კი დინამოელებმა კვლავ გამოავლინეს თავიანთი სრული უსუსურობა, უნებისყოფობა, ტაქტიკური სიღატაკე.

განსაკუთრებით უფერული იყო თამაშის პირველი ნახევარი. მასპინძლებმა თამაში ვერ ააწყვეს. სწორედ ამ სიტუაციაში შეეძლოთ თბილისელებს გამოეჩინათ რამდენადმე მაინც შესამჩნევი მონდომება და ბრძოლის წყურვილი. ამის ნაცვლად კი ისინი პირველივე წუთებიდან პასიური მომგერიებლების როლში აღმოჩნდნენ. მათი უნიათობის შედეგად ინიციატივას მთლიანად „ნეფთჩის“ ფეხბურთელები ფლობდნენ.

„დინამო“ თავიდანვე ღრმა დაცვაში ჩაჯდა. შეტევის ხაზზე გუნდის წევრებს არსებითად არც ერთი რიგიანი კომბინაცია არ გაუთამაშებიათ. აქა-იქ თუ ვინმე დაარტყამდა კარში, ისიც გაუბედავად, უსუსურად, მთელი თამაშის წარმართვა დაცვაში კი, როგორც წესი, მარცხით მთავრდება ხოლმე.

თბილისის „დინამო“ ახლაც ვერ გადაურჩა მარცხს და ეს მთელი გუნდის პასიურობის, გაუმართლებელი დაცვითი ტენდენციების, უხეში ელემენტარული შეცდომების კანონზომიერი შედეგია. მასპინძლებმა მხოლოდ ერთი ბურთის გატანა შეძლეს, მაგრამ ისიც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა გამარჯვებისთვის. ჰუსეინოვმა 79-ე წუთზე გაიტანა ბურთი და ის მოჩვენებითი ფიქციური მონდომება, რომელიც თბილისელებმა ბოლო ათიოდე წუთში გამოავლინეს, რა თქმა უნდა, საქმეს ვერ უშველიდა.

კვლავ დავმარცხდით! ცხადია, თბილისის „დინამო“ ჯერ კიდევ ღრმა, სერიოზული კრიზისის ვითარებაშია. სეზონის სტარტზევე უკვე უიმედო აუტსაიდერთა შორის ვიმყოფებით. თბილისის „დინამოს“ ასეთი მდარე, უმწეო თამაში არ გვაკმაყოფილებს არავის. საჭიროა გადამჭრელი, რადიკალური ზომები კოლექტივში მძიმე ჩავარდნის გამოსასწორებლად. საქმეს შველა უნდა ახლავე, სანამ გვიანი არაა!

ლელო 24.04.1988